ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 50

27 იანვარი, 2021 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ზაზა მამალაძე

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა. მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩისთვის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩისთვის იუნკერი პლატონ დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დავით კაჭარავას ქუჩისთვის იუნკერის ალექსანდრე ახვლედიანის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ტავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

პირველი საკითხის განხილვისას მიხეილ ამაშუკელმაკომისიის წევრებს განუმარტა, რომ გასული წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა ქართველი მსახიობი, კინორეჟისორი და სცენარისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი შენგელაია. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას საჭიროდ მიაჩნია გიორგი შენგელაიას ღვაწლის სათანადოდ დაფასების მიზნით ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი. გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ იხელმძღვანელა კინორეჟისორის შემოქმედებით.

თბილისის ურბანულ გარემოში გიორგი შენგელაიას სახელობის ქუჩა ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს, თუ ის იქნება მთაწმინდის რაიონში, ვერაზე.

მეორე და მესამე საკითხების განხილვისას კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებს გააცნო შემდეგი ინიციატივა. როგორც ცნობილია 8/წლის თებერვალში რუსეთის არმიის მიერ საქართველოს გასაბჭოებიდან სრულდება 100 წელი. კომისიამ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2018 წელს ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული პიროვნებების სახელობის ქუჩებს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერ საზოგადო მოღვაწეთა სახელები მიანიჭა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურს მიენიჭოს ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელი, რომელიც საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური იყო. კომისიამ ასევე იმსჯელა ისნის რაიონში, რევოლუციური მოძრაობის მონაწილის, ჩოხატაურის ბოლშევიკური კომიტეტის წევრის, თეოფილე ჩოჩუას ქუჩისთვის საქართველოს დამოუკიდებელი კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერის, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტზე ხელმომწერის, დამფუძნებელი კრების წევრის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭებაზე.

მეოთხე და მეხუთე საკითხების განხილვისას იმსჯელეს ასევე თბილისის ქუჩებისთვის იუნკერების სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიაში შემოსულია ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის დამფუძნებლის იოსებ ჭონქაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩებს მიენიჭოს იუნკერების პლატონ დოლიძის და ალექსანდრე ახვლედიანის სახელები.

კომისიამ გადაწყვიტა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის იუნკერების პლატონ დოლიძისა და ალექსანდრე ახვლედიანის ქუჩებისთვის სახელების მინიჭებით ღირსეული პატივი მიეგება მათ ხსოვნას, რომლებიც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბოლშევიკების არმიასთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ.

კომისიამ მიიღო დაგაწყვეტილება, რომ ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩას მიენიჭოს იუნკერი პლატონ დოლიძის სახელი, ხოლო ისნის რაიონში, დავით კაჭარავას ქუჩას მიენიჭოს იუნკერი ალექსანდრე ახვლედიანის სახელი.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ხსენებული საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი